



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

16/02/2024



MES 1 24 0000188373

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა"
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს №975465 გადა
წყვეტილებაში გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე
დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე
მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს №975465 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და დანართ №1-ში მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს შემდეგი სახით: „სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი“.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №179610 ოქმის №7 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

